

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის დარგობრივი კვლევები

**მორწყვის თანამედროვე ტექნოლოგიები, აგროკლიმატური ფაქტორები, ვაზის
მოსავლიანობა და ყურძნის ხარისხობრივი მაჩვენებლები**

პროფ. დავით გუბელაძე

ანოტაცია

საქართველოში მევენახეობის რაიონებისათვის შემუშავებულია ვაზის განვითარებისათვის აგროკლიმატური ღონისძიებანი, მაგრამ იგი მოითხოვს შემდგომ კვლევას ეკოლოგიური პირობებისა და ჯიშის ბიოლოგიური თვისებების ნიადაგის შესაბამისად. ვაზის ზრდა განვითარება, მოსავლიანობა და პროდუქციის ხარისხი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ეკოლოგიურ კლიმატურ პირობებთან, სადაც იგი იზრდება და ვითარდება.

მრავალრიცხოვანი ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისეთი კომპლექსური მახასიათებელი, როგორცაა ევაპოტრანსპირაცია, რადგან ის განსაზღვრავს მცენარის ზრდა-განვითარების წყლის ბალანსის ძირითად ხარჯვის კომპონენტს. ევაპოტრანსპირაციის პროცესისა და მისი განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლა, სხვადასხვა კლიმატური პირობებისთვის წარმოადგენს ძირითად მაჩვენებელს წყლის რესურსების ოპტიმალური განაწილებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალთუზრუნველყოფისათვის.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „მევენახეობა და მეღვინეობა ევროპის ქვეყნებში - ისტორიული ასპექტები და პერსპექტივები“ 2017 წ. თბილისი;
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული.

ტყის დაცვითი ღონისძიებები და წყლისმიერი ეროზიული პროცესები

პროფ. დავით გუბელაძე

ანოტაცია

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დიდქანობიანი ფერდობების მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ მიწათმოქმედთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ უწევს სათანადო ანგარიშს ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემის აქტუალობას.

საქართველოს მთისა და მთისწინა რეგიონებში ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ეროზიული პროცესების გაძლიერება. აღნიშნული მდგომარეობა გარკვეულწილად იმითაცაა განპირობებული, რომ ჩვენში დროულად არ იქნა შეფასებული და გათვალისწინებული ის მოსალოდნელი ობიექტური ცვლილებები, რომლებიც ახლავს სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციას, მძიმეწონიანი სასოფლო-სამეურნეო მექანიზმების გამოყენებას, ნიადაგის დამუშავების ხარისხის კონტროლის შესუსტებას. აღნიშნულ და მთელ რიგ სხვა მიზეზთა გამო მოხდა ეროზიული პროცესების გავრცელების არეალისა და ინტენსივობის ზრდა.

ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება „ – 2(16) ტომი , თსაუ, თბილისი 2017წ.გვ.100-105.

Water Resource Management Strategy in Georgia

D. Gubeladze

Summary

Water institutions, i.e., both formal and informal water law, water policy, and water administration, are undergoing remarkable changes worldwide. Despite country-specific variations, these institutional changes, at the international level, evince certain common trends and patterns. This study aims to unravel these trends and patterns by addressing the

following questions. Which are the key factors that motivate these institutional changes? What are their nature and direction? What effects can they have on the overall water sector performance? And, finally but more importantly, is it possible to use cross-country experience for deriving an international agenda for encouraging institutional change within the water sector.

International Scientific Practical Conference on "Modern Challenges, Scientific Problems and Euro Integration" Tbilisi, 2017 Pp. 78-81.

მეცხვარეობა

ვასილ ღლიღვაშვილი, გელა ღლიღვაშვილი

ანოტაცია

სახელმძღვანელოში განხილულია - საქართველოში მეცხვარეობის წარმოების პირობები; ცხვრის წარმოშობა და მომინაურება; მსოფლიო მეცხვარეობის მიმოხილვა; მსოფლიოში გავრცელებული ცხვრის ჯიშები; ცხვრის ზრდა-განვითარება; ცხვრის მტყლი, რძე, ხორცი და მაჟდაკი; სანაშენე მუშაობა მეცხვარეობაში; ცხვრის კვება და ცხვრისათვის დამახასიათებელი დაავადებების მიმოხილვა. სახელმძღვანელოს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მთლიანად ნაშრომი მოიცავს 547 გვერდს და ილუსტრირებულია ცხრილებით, ფოტოსურათებით, ნახატებით და სხვ.

სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებულ პირთათვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი 2017. 547 გვ.

SHEEP BREEDING

VASIL GHLIGHVASHVILI

Summary

In this book, the general situation of sheep breeding field in the world is discussed, such as: sheep domestication issues, reproduction, dairy, meat and other productive data. Common diseases of sheep, their signs, prevention and cure. It also includes worldwide approved terminology for sheep breeding. The list of references includes

literature that are created and issued on the bases of both early and modern researches.

So, presented handbook will be interesting for every reader, who are interested in animal sciences, especially for those ones, interested in sheep breeding.

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY; TBILISI-2017, 283 p. Presented book is a handbook for students of all three stages (bachelor's, master's, doctoral degree) of the field on animal sciences

მეთხეობა

ვასილ ლლიღვაშვილი

ანოტაცია

სახელმძღვანელოში განხილულია - საქართველოში მეთხეობის დარგის წარმოების პირობები; თხის წარმოშობა და მოშინაურება; მსოფლიო მეთხეობის მიმოხილვა და გავრცელებული ჯიშების დახასიათება; ზრდა-განვითარება; მეთხეობის პროდუქცია; სანაშენე მუშაობა და კვება სახელმძღვანელოს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მთლიანად ნაშრომი მოიცავს 241 გვერდს და ილუსტრირებულია ცხრილებით, ფოტოსურათებით, ნახატებით და სხვ.

სასწავლო სახელმძღვანელო ყველა დონის სწავლის სპეციალობით "მეცხოველეობა" და სხვა დაინტერესებულ პირებს. დამტკიცებულია და რეკომენდირებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოცემა. თბილისი 2017; 241 გვ.

VASIL GHLIGHVASHVILI - GOAT BREEDING

The book is discussed and recommended to publish by the Faculty of Agricultural Sciences and Biosystems Engineering of the Technical University of Georgia. Tbilisi – 2017; 157 p. Presented book is a handbook for students of all three stages (bachelor's, master's, doctoral degree) of the field on animal sciences.

In the book, the general situation of goat breeding field in the world is discussed, such as: goat domestication issues, reproduction, dairy, meat and other productive data. Common diseases of goat, their signs, prevention and cure. It also includes worldwide approved terminology for goat breeding.

The list of references includes literature that are created and issued on the bases of both early and modern researches. So, presented handbook will be interesting for every reader, who are interested in animal sciences, especially for those ones, interested in goat breeding.

საქართველოს მომთაბარე მეცხოველეობა (მონოგრაფია)

ვასილ ლლიღვაშვილი და სხვები

ანოტაცია

საველე სამუშაოებში შედიოდა: მარშრუტის დეტალური შესწავლა; რუქების შედგენა; ინფრასტრუქტურის ადგილების შერჩევა, რამოდენიმე ალტერნატივის მითითებით; პოტენციური საკითხების იდენტიფიკაცია, ტრასასთან შეხებაში მყოფი მიწის მესაკუთრეობის საკითხის გამოკვლევა, მარშრუტის კორექტირება, ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივის შესწავლა, მართვისა და შენარჩუნების კონცეფცია, ორგანიზაციული და ფინანსური კვლევები. ამასთან ერთედ სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგოების და ბიოსისტემების ფაკულტეტის დაფინანსებით 2017 წელს განხორციელდა საქართველოში მომენებული ადგილობრივი ცხვრის ჯიშობრივი მდგომარეობის ექსპედიციური შესწავლა.

განხორციელებულ სამუშაოებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის და ვეტერინარული სამსახურის წარმომადგენლები. ამდენად ინფრასტრუქტურის ყველა ელემენტი (პუნქტი, გასაბანებელი, დასასვენებელი მოედანი და სხვ.) შეირჩა და დაიგეგმა მათი გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. კვლევა ჩატარდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით, წინამდებარე ნაშრომის ავტორთა ჩართულობით 2013 წლიდან განხორციელა შ.პ.ს. გოლდენ ფლის კაპიტალმა.

განხილულია და რეკომენდირებულია გამოსაცემად :

- საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიწის ფონდის მართვის მეცნიერული უზრუნველყოფის მუდმივმოქმედი კომისიაზე
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოზე

თბილისი - 2017; 172 გვ.

ყურძნის ჯიში - ადგილწარმოშობის, ტექნოლოგიური რეჟიმების ზეგავლენა ღვინოში
რეზვერატროლის, მირიცეტინისა და ქვერცეტინის შემცველობაზე

**THE EFFECT OF GRAPE VARIETAL CHARACTER, APPELATION, VINIFICATION
TECHNIQUES ON RESVERATROL, MYRYCETIN AND QUERCETIN CONTENT OF WINE**

მ. ხომასურიძე, ი. ჭანტურია, ნ. ჩხარტიშვილი, მ. მესხიძე

ანოტაცია

გამოკვლევულ იქნა ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციების: პრეფერმენტაციული და პოსტფერმენტაციული მაცერაციის, მუხის კასრის ალტერნატიული მასალები გამოყენების ზეგავლენა წითელ ღვინოში ზემოაღნიშნული ფენოლური ნაერთების შემცველობაზე. მიღებული შედეგებზე დაყრდნობით ღვინოში მათი რაოდენობას განსაზღვრავს არამარტო ჯიშური თავისებურება, არამედ ღვინის დამზადების ტექნოლოგიური ოპერაციები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი

ბიორგანული ქიმიის განმარტებითი ლექსიკონი

გ. ტყემალაძე

ანოტაცია

ლექსიკონში წარმოდგენილია ორი ათასზე მეტი ლექსიკური ერთეული ბიორგანული ქიმიიდან და მომიჯნავე დისციპლინებიდან: ორგანული ქიმია, ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, აგრარული მეცნიერებები, აგრეთვე

ყველა იმ დარგიდან, რომლებსაც გარკვეული შეხება აქვს ბიოორგანული ქიმიის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებთან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2017. გვ.342.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებში ნიტრატების განსაზღვრის ახალი ანალიზური ხელსაწყო

გ. ქვარცხავა, ნ. იაშვილი, ქ. მახაშვილი, გ. ტყემალაძე, ვ. ფადიურაშვილი, ზ. ჯოხარიძე

ანოტაცია

განხილულია სოფლის მეურნეობის პროდუქტებში ნიტრატების განსაზღვრის ახალი ანალიზური ხელსაწყო, რომლის გამოცდის შედეგების გათვალისწინებით მოხდება ელექტრული სქემების კორექტირება და შესაბამისად ახალი სეგმენტების დამატება.

საქართველოს საინჟინრო სიახლენი. №1, 2017, 121. გვ. 121-124.